პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2023 წლის —— **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მოპირდაპირედ, მზის საათის სკვერში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ფრიდონ ხალვაშის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მოპირდაპირედ, მზის საათის სკვერში განთავსდეს ფრიდონ ხალვაშის ბიუსტი.
2. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მოპირდაპირედ, მზის საათის სკვერში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

დაბადების ადგილი: სოფელი გეგელიძეები, ქედის რაიონი. დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი 1950 წელს; მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები 1957 წელს.

1941-1948წწ. სოფელ ცხმორისის კლუბისა და ბიბლიოთეკის გამგე; 1948-1950წწ. მეთოდკაბინეტის დირექტორი; 1950-1952წწ. აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი; 1957-1994წწ. საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის მდივანი; 1994-1995წწ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე; 1995-1999წწ. საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: ბლოკი "სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი", საარჩევნო ფორმა: პარტიული სიით. მისი პირველი ლექსი 1944 წელს, ხოლო პირველი პოეტური კრებული 1948 წელს გამოქვეყნდა; დადგმულია მისი სამი პიესა: "ხიხანის ძახილი", "ვაზის ტირილი", "გადარჩენილი უკვდავება"; მრავალი წიგნის (50-მდე წიგნის), პოეტური კრებულების, პიესების, რომანების ავტორი; მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, უზბეკურ, აზერბაიჯანულ, გერმანულ, უნგრულ, ჩეხურ, პოლონურ, თურქულ ენებზე. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი ბათუმის ერთ-ერთ გამზირს მიეკუთვნა. პოეტის მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში გახსნილია მისი სახლ - მუზეუმი, ხოლო ბათუმის სახლზე, სადაც იგი ცხოვრობდა, გაკრულია მემორიალური დაფა. ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში ყოველწლიურად ტარდება დღესასწაული "ფრიდონობა", რომელიც შემდგომ პოეტის მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში გრძელდება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მოპირდაპირედ, მზის საათის სკვერში განთავსდეს ფრიდონ ხალვაშის ბიუსტი.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ზ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ზ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან ცხოიძე**